

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას
2015-2016 სასწავლო წლისათვის
შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ისტორია.

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: სასურსათო ტექნოლოგია, აგრონომია, სატყეო საქმე.

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი : დაწყებითი განათლება, სპორტი.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი : ბიოლოგია, ეკოლოგია, გეოგრაფია, მათემატიკა , ფიზიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, დიპლომირებული სტომატოლოგი .

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი: საჯარო მმართველობა, ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი, ჟურნალისტიკა.

ყურადღება! შემდეგი სპეციალობები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ: სასურსათო ტექნოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ბიოლოგია, პედაგოგიკა. დანარჩენი სპეციალობები - სახელმწიფო გრანტით გათვალისწინებული წესით.

დამატებითი სავალდებულო მეოთხე საგანი ფაკულტეტების მიხედვით:

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:

დაწყებითი განათლება - გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა, ბიოლოგია, მათემატიკა
სპორტი - გეოგრაფია, ისტორია, ბიოლოგია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

ქართული ენა და ლიტერატურა - ისტორია, ლიტერატურა
ინგლისური ენა და ლიტერატურა - ისტორია, ლიტერატურა
ფრანგული ენა და ლიტერატურა - ისტორია, ლიტერატურა
გერმანული ენა და ლიტერატურა - ისტორია, ლიტერატურა
ისტორია - გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი:

საჯარო მმართველობა - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება
ბიზნესის ადმინისტრირება - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება
ტურიზმი - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება
ჟურნალისტიკა - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

ბიოლოგია - მათემატიკა, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია

ეკოლოგია - გეოგრაფია, ბიოლოგია

გეოგრაფია - ისტორია, გეოგრაფია

მათემატიკა - მათემატიკა, ფიზიკა

ფიზიკა - მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა

ინფორმაციული ტექნოლოგიები - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია

დიპლომირებული სტომატოლოგი - მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

სასურსათო ტექნოლოგია - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია

აგრონომია - ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია

სატყეო საქმე - მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია

სწავლის ყოველწლიური საფასური:

1750-2250 ლარი / სწავლების გადასახადი სხვადასხვა სპეციალობაზე სხვადასხვაა/

სპეციალობები - სასურსათო ტექნოლოგია, ბიოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, პედაგოგია - დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ (უფასოა)

დასაქმების პერსპექტივა:

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი კახეთში, აქედან გამომდინარე, ძირითადად მისი კურსდამთავრებულებით არის დაკომპლექტებული რეგიონში არსებული სახელმწიფო (საჯარო), საგანმანათლებლო, არასამთავრობო, კერძო ბიზნეს-კომპანიები, ბანკები და სხვა ორგანიზაციები. კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით, უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს აღნიშნულ ორგანიზაციებთან. სტუდენტებს აქვთ სასწავლო პრაქტიკის და სტაჟირების შესაძლებლობა.

არის თუ არა უნივერსიტეტში ღია კარის დღეები?

უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება ღია კარის დღეები და სხვადასხვა ღონისძიებები აბიტურიენტებისთვის. ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ფაკულტეტის დეკანატებს: **აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 0 (350) 23 36 70; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 0 (350) 27 33 20; სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი - 0 (350) 23 36 71; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 0 (350) 27 32 66; განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - 0 (350) 27 11 76.**

სწავლების საფეხურები:

ბაკალავრიატი - 4 წელი

მაგისტრატურა - 2 წელი

დოქტორანტურა - 3 წელი

გაცვლითი პროგრამები:

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროგრამებში: TEMPUS, ERASMUS MUNDUS, BOM UP, MEVLANA, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების და

აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს ევროპის, თურქეთის და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში.

თანამშრომელი უნივერსიტეტები:

- ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია)
- კარდიფის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- გენტის უნივერსიტეტი (ბელგია)
- ლაიფციგის უნივერსიტეტი (გერმანია)
- ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი)
- ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- კა'ფოსკარის უნივერსიტეტში (ვენეცია, იტალია)
- პავიას უნივერსიტეტის (იტალია)
- ტურკუს უნივერსიტეტი (ფინეთი)
- ჰაილბრონის უნივერსიტეტი (გერმანია)
- ფრაიბურგის უნივერსიტეტი (გერმანია)
- მარბურგის უნივერსიტეტი (გერმანია)
- ბიბერახის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (გერმანია)
- ჰანის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები)
- ჰას დენ ბოსჰის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები)
- გრენობლის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- ანჟერის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- რეზეკნეს უნივერსიტეტი (ლატვია)
- რუსის უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ტუშას უნივერსიტეტი (იტალია)
- ვიანა დო კასტელოს ინსტიტუტი (პორტუგალია)
- სომხეთის აგრარული უნივერსიტეტი
- გავარის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი)
- ნიჟნის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- პოტიერის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)

საუნივერსიტეტო ცხოვრება:

უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ორსართულიან შენობაში. მას აქვს სამკითხველო და სააბონენტო, საკონფერენციო დარბაზები; მდიდარი წიგნადი ფონდი. იგი ჩართულია ელექტრონული ბიბლიოთეკების საერთაშორისო ქსელში; აქვეა კომპიუტერული ცენტრი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისარგებლონ უფასო ინტერნეტით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს:

ბუფეტი

სპორტდარბაზი, სპორტული მოედნები

კომპიუტერული ცენტრები (ინტერნეტით)

უცხო ენების ცენტრი (გერმანული, ფრანგული, ინგლისური, თურქული, რუსული)

ლინგოფონიის კაბინეტი

ჟურნალისტიკის სასწავლო ცენტრი

30-ზე მეტი კაბინეტ-ლაბორატორია

სასწავლო სახელოსნო/თექის, ტანსაცმლის დიზაინის...

სოციოლოგიური კვლევითი ჯგუფი

კავკასიური კვლევების ცენტრი

არქეოლოგიის კაბინეტი

იურიდიული კლინიკა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეგობრობის უცხო ენათა ცენტრი

ამერიკის შესწავლის ცენტრი

ფრანკოფონიის ცენტრი

სტუდენტური თვითმმართველობა

სპორტული კლუბი (ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, მძლეოსნობის სექციები)

კლუბები და შემოქმედებითი წრეები: ქართული და თანამედროვე ცეკვების, ქართული ხალხური სიმღერის გოგონათა და ვაჟთა ანსამბლები, დრამატული და ლიტერატურული წრეები.

კათედრებთან ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო კლუბები.

უნივერსიტეტი გამოსცემს ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების მიერ მომზადებულ ჟურნალს/გაზეთს „თელავის უნივერსიტეტი.“

სერვისები:

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

იურიდიული სამსახური

მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

კანცელარია

საფინანსო სამსახური

სამდივნო

სტუდენტთა რაოდენობა:

სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში - 1500.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ირმა შიოშვილი, ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

სასწავლო ენა:

ქართული

ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ:

ისტორია:

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თესაუ) ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო ცენტრია. უნივერსიტეტი ღირსეული გამგრძელებელია იყალთოს აკადემიის (XII საუკუნე), თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სასწავლებლის (1758-1782), სასულიერო სემინარიის (1782-1801), სასულიერო სასწავლებლის (1818-1918), სამასწავლებლო ტექნიკუმის (1924-1939), სამასწავლებლო ინსტიტუტის (1939-1951) და პედაგოგიური ინსტიტუტის (1951-1999) მრავალსაუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციებისა. 1940 წლიდან იგი ატარებს დიდი ქართველი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელს. დაარსებიდან 60 წლისთავზე, 1999 წელს, მას მიენიჭა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი. უნივერსიტეტი ავტონომიური სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია. აქ სწავლება მიმდინარეობს მშობლიურ - ქართულ ენაზე. უნივერსიტეტში სწავლა სამ საფეხურიანია: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო. უნივერსიტეტში მუშაობს აგრეთვე პროფესიული განათლების საფეხური.

მის განკარგულებაშია ოთხი სასწავლო კორპუსი, ღია და დახურული სპორტული მოედნები, ხელოვნების და კულტურის ცენტრი, რომლებიც განთავსებულია შვიდი ჰექტარი ფართობის გამწვანებულგარემოში.

სტუდენტთა სწავლა-განათლებას ემსახურება 19 სრული პროფესორი, 58 ასოცირებული პროფესორი და 26 ასისტენტ-პროფესორი, 9 ასისტენტი.

უნივერსიტეტი ფლობს ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, რათა, საჭიროებისამებრ, ინგლისურენოვან სტუდენტებს შესთავაზოს ინგლისურენოვანი კურსები და პროგრამები.

უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება ადგილობრივი, რესპუბლიკური, საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები.

უნივერსიტეტი თავის მისიას ახორციელებს:

1. საერთაშორისო სტანდარტების, ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა შესაბამისი სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების პროგრამებით;
 - ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევებითა და პროექტებით;
 - რეგიონისათვის დამახასიათებელი პრიორიტეტებით;
 - განვითარებული სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურით, მატერიალური ბაზითა და ეფექტიანი საფინანსო მენეჯმენტით;
 - კურსდამთავრებულებით, რომელთა დონე შეესაბამება საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს.
2. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სტრატეგიული მიზნებია:
 - საერთაშორისო სტანდარტების, ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა შესაბამისი სამსაფეხურიანი აკადემიური და პროფესიული პროგრამების ეფექტიანი განხორციელება;
 - ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა;
 - სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლება;
 - სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესება;
 - შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;

-სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
-აკადემიური პერსონალისათვის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
-სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
-საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.

მისამართი

ქალაქი თელავი, 2200

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1

ტელეფონის ნომერი: 0(350) 27-24-01; 0(350) 23 11 00; 0(350) 27-37-51

ელ-ფოსტა: info@tesau.edu.ge

ვებ-საიტი: www.tesau.edu.ge

FACEBOOK: <https://www.facebook.com/tesau.edu.ge>

უნივერსიტეტის კორპუსების რაოდენობა: 4

უნივერსიტეტის კორპუსების მისამართი: I, II, III კორპუსი - ქართული უნივერსიტეტის ქ. #1,

IV კორპუსი - თბილისის გზატკეცილი #26